დოქტურანტურის დებულების დანართი N 2
დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2025 წლის 20 იანვრის N 02/25 ოქმით

სადოქტორო ნაშრომის კონცეფციის წარდგენის ფორმა და შეფასების კრიტერიუმები სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში

კონცეფცია შინაარსობრივად ასახავს სადოქტორო კვლევის იდეას/მიმართულებას და სტრუქტურულად შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- კვლევის მიზანი
- საკითხთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურის მიმოხილვა, სადაც შეჯამებულია რელევანტური წყაროების საფუძველზე დღემდე არსებული თეორიული, მეთოდოლოგიური მიდგომები და ემპირიული მიგნებები/შედეგები
- სადოქტორო კვლევის მეცნიერული ღირებულების ასპექტები, რომლებიც წინა პუნქტიდან გამომდინარე უნდა იყოს დასაბუთებული
- სადოქტორო კვლევის პროცესის ეტაპების მოკლე აღწერა

	კონცეფციის სტრუქტურული ელემენტები	
	ელემენტის დასახელება	**ელემენტის წონა %**
1	***კვლევის მიზანი***	კვლევის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და იძლევა მეცნიერული მეთოდების გამოყენებით კვლევის განხორციელების საშუალებას 30%
2	***საკითხის აქტუალურობა***	კვლევის საკითხი/თემა ნათლად წარმოადგენს და მიეკუთვნება პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში არსებულ აქტუალურ საკითხთა სიას 35%
3	***საკითხთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურის მიმოხილვა***	ლიტერატურის მიმოხილვა სრულიად ასახავს (state of the art) საკვლევ საკითხთან დაკავშირებულ არსებულ, თეორიულ, მეთოდოლოგიურ და ემპირიულ მიგნებებს. 20%
4	***მეცნიერული ღირებულება***	სადოქტორო კვლევის მეცნიერული ღირებულება ნათლად და სრულიად არის წარმოჩენილი/დასაბუთებული 10%
5	***კვლევის ეტაპების აღწერა***	სადოქტორო ქვლევის პროცესის ეტაპები ლოგიკურად და შესაბამისი დროის ჩარჩოების მითითებით არის წარმოჩენილი 5%

სამეცნიერო - საკონსულტაციო საბჭო განიხილავს და აფასებს წარმოდგენილ კონცეფციას ზემოთხსენებული კრიტერიუმების საფუძველზე ინდივიდუალური შეფასებებიდან გამოყვანილი საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით.